საქართველოს სოც.-დემოკ. მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

სამშაბათი 26 ნოემბერი 1918 წ.

# ერთობა

ფასი 50 კაპ.

გაზეთის ფასი: 1 თვით 12 მანეთი ცალკე ნომერი ყველგან 50 კაპ. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—1 მან. სამგლოვიარო განცხადება 20 მან. საჩქარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 12 ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ... უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ, Головинский пр. № 199. Редакція „Эртоба". ... გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.
რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპ. № 12. Тифлисъ Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 256

ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა.

№ 256

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგობისთვის 22 ს (ახ. სტ.) ქ. ზესტაფონში საკუთარ სახლში გარდაიცვალა

## ალექსანდრე (საშიკო) გიგოს ძე ასლანოვი

რასაც მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ამხანაგ-მეგობართ მამა გიგო თომას ძე, მეუღლე ეფროსინე სოკრატის ასული, შვილები კოლია და მიტუშა ასლანოვები, დედით ძმა, პლატონ თემურაზის ძე და რძალი აგრაფინა კაკნაველიძეები შვილებით და ცოლის ძმა ნესტორ სოკრატის ძე კიკნაველიძე. დაკრძალვა მოხდება 26 გიორგობისთვეს ქ. ზესტაფონში. (2—2)

---

ღრმად დამწუხრებულნი: შვილები და ძმები: კოლია, რომანოზ, ევგენი, პეტრე და თეოფილე ბესარიონის ძენი, ქალიშვილი და და ანასტასია ბესარიონის ასული ქვანიები, სიძე მღვდელი თეოდორე ოქროპირის ძე ქირია და რძლები: მინა თომას ასული და პაშა პეტრეს ასული ქვანიებისა გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობ მეგობრებს და ამხანაგებს, რომ შაბათს, 30 ნოემბერს (ახ. სტ.) სოფ. ონტოფოს, მთავარ ანგელოზის ეკლესიაში გადახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი უდროოდ გარდაცვალებულთა მათი ძვირფასი

## მატრონა კაციას ასული ქვანიას და მისი შვილის ლეონტი ბესარიონის ძე ქვანიას

სულის მოსახსენებლად

---

ღრმად დამწუხრებული მეუღლე ლიუდმილა ვლადიმირის ასული, შვილები: ლიალიჩკა, მიშიკო და მარუსია, მამა ალექსი, დედა ეკა, ძმა პროკოფი, რძალი ანიჩკა და დაი აგრაფინა კალანდაძეები სიმამრი ვლადიმერ და სიდედრი სოფიო, ცოლის ძმები: გიორგი, პავლე, ვასილი, ცოლის და თამარა ჯინჭარაშვილები აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს ძვირფასის და დაუვიწყარის

## დათიკო ალექსის ძე კალანდაძის

უდროოდ გარდაცვალებას, რომელიც გარდაიცვალა თფილისში (ანდრეევის ქ. № 77). დაკრძალვა მოხდება 28 ნოემბერს გურიაში, ხიდისთავის წმინდა გიორგის ეკლესიაზე.

---

ღრმად დამწუხრებულნი: იესე, პელაგია, ერმილე, ბაბილინე, კოწია, ვენედიქტერ, ემელიანე, ნინა, პასტი, თამარა, ოლია კალანდაძეები აუწყებენ ნაცნობ მეგობრებს მათი ძვირფასი და დაუვიწყარი

## დათიკო ალექსის ძე კალანდაძის

უდროოდ გარდაცვალებას, რაიც მოხდა 23 ნოემბერს თფილისში, გამოსვენება მოხდა კვირას, 24 ნოემბერს. წასვენებულ იქნა გურიაში. დაკრძალვა მოხდება დაბა ხიდისთავში, ხუთშაბათს, 28 ნოემბერს (ახ. სტ.).

---

გულდათუთქული დიმიტრი, ანუშკა, პავლე, მარო და ზაირა კალანდაძეები ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ ძვირფასის და დაუვიწყარის ნათლიას

## დათიკო ალექსის ძე კალანდაძის

უდროოდ გარდაცვალებას, რომელიც გარდაიცვალა თფილისში (ანდრეევის ქ. № 77) 24 ნოემბერს, წასვენებულ იქნა გურიაში. დაკრძალვა მოხდება 28 ნოემბერს, ხიდისთავის წმ. გიორგის ეკლესიაზე

---

უსაზღვროდ დამწუხრებულნი გრიგოლ და თამარა მალაზონიები აუწყებენ ნათესავ და ნაცნობთ თავის ძვირფასი ქალის

## თინას

დაკარგვას. დასაფლავება მოხდება კუკიის სასაფლაოზე. გამოსვენება მოხდება სამშაბათს, 26 გიორგობისთვეს, დილის 11 საათზე.

---

ღრმად დამწუხრებული ბიძა მიხეილი, ბიცოლა თამარი, ბიძაშვილები: ნინო, ელენე, ალექსანდრე, პეტრე, გიგუცა და მიშა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ძვირფასი

## თამარი ვასილის ასულის ხარაძის

უდროოდ გარდაცვალებას, დასაფლავება დღეს—დიდუბის ეკლესიის გალავანში. გამოსვენება—ელისაბედის ქ. № 176. დილის 10 საათ.

---

ლიხაურის ს. დ. კოლექტივი უღრმეს მწუხარებას გამოსთქვამს საუკეთესო ამხანაგის, კოლექტივის წევრის

## ვლადიმერ ვახუშტის ძე თოიძის

გარდაცვალების გამო.

---

რძალი თამარა და ძმისწული ქეთო მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ პირველი მაზლის, მეორე ბიძის

## აკაკი ტარიელის ძე თავართქილაძის

ტრაგიკულად გარდაცვალებას. რომლის დასაფლავება დანიშნულია სად. ნატანებში, 26 ნოემბერს.

---

ღრმად დამწუხრებულნი დედა კატო, ძმები სევერიანე, ოტია, გალაქტიონ, გიორგი და ნიკო; დები მინიკო გობრონიძისა და ნიტუშა თავართქილაძისა ამით აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს, რომ ტრაგიკულად გარდაცვლებულ

## აკაკი ტარიელის ძე თავართქილაძის

უკანასკნელი გამოთხოვების დღე და დასაფლავება არის დანიშნული 26 ნოემბერს, დღითი, სამშაბათს სად. ნატანებში.

---

ღრმად დამწუხრებულნი დედა—ეფროსინე, მეუღლე—ნადეჟდა, დები ოლღა, ნინა და ლიუბა, რძლები: ქსენია და როზეტა, ძმები: ვლადიმერ, ილია, და კონსტანტინე და სიძე სამსონ ლეჟავა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ძვირფასს

## ივანე (ვანო) სიმონის ძე წივწივაძის

უდროოდ გარდაცვალებას. დასაფლავება დღეს, 26 ნოემბერს, დიდუბის ეკლესიის გალავანში, გამოსვენება დილის 10 საათზე. საკ. ბინიდან (ელისაბედის ქუჩა № 82, ბინა 1).

---

ღრმად დამწუხრებულნი მშობლები ერმილე და ოლინკა, ძმები: შალვა, ვანო, კასიანე და ნატაშა ლომთათიძენი ბიძა და ბიცოლა: მამულა და სოფიო, ბიძაშვილები. იორდანე და პოლინე ლომთათიძეები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობ-მეგობრებს უდროვოთ გარდაცვალებას

## მამანტი ლომთათიძისა,

რომლის დაკრძალვა მოხდება 26 ნოემბერს, მეწიეთის ეკლესიაზე.

---

# ერობათა კავშირის შესახებ

ამ დღეებში შინაგან საქმეთა სამინისტროში მოხდა ერობათა მოღვაწეების თათბირი; რომელზედაც გაირჩა საკითხი ერობათა ცენტრალურ კავშირის დაარსების შესახებ.

ამ საკითხის ასე თუ ისე გადაწყვეტა დამოკიდებულია თვით ჩვენი ერობის ტიპზე.

არსებობს ორი ტიპი ერობისა: ზოგიერთ ერობის კომპეტენცია განისაზღვრება მხოლოდ ეკონომიურ საკითხებით; მისი სახრუნავია სამეურნეო და ტეხნიკური საქმეები; იგი არსებობს სახელმწიფო დაწესებულების გვერდით და ამ დაწესებულების საქმეებში ჩარევის ნება არა აქვთ. ასეთი ტიპის ერობა არსებობდა რუსეთში რევოლიუციამდის, ასეთ ტიპს ერობას უახლოვდება პრუსიის საფრანგეთის ერობა.

მეორე ტიპის ერობა, პირიქით, თითონ არის მ ჩნეული სახელმწიფო ორგანოთ; მის ფარგალში შედის ყველა ის საკითხები, რომელზედაც სახელმწიფო უნდა ზრუნავდეს; მართვა-გამგეობა, მოხელეთა დანიშვნა, სასამართლოების მოწყობა და მოსამართლეების არჩევა, სახალხო განათლების საქმეებში ფართო ჩარევა,—ყველა ეს სახელმწიფოებრივი ფუნქციები აქვს დავალებული ამ ტიპის ერობას. იგი წარმოადგენს სახელმწიფოს მართვა გამგეობის მდაბალ ორგანოს და სახელმწიფოს ცენტრალური მთავრობა მაზე არის აშენებული და დაყრდნობილი. ასეთი ტიპის ერობაა ისეთ დემოკრატიულ სახელმწიფოებში, როგორიცაა შვეიცარია, შეერთებული შტატები, ინგლისი. ასეთი ტიპის ერობა უნდა ჩამოყალიბდეს ჩვენშიაც.

ერობის ამნაირი ტიპის მიხედვით უნდა გადაწყდეს საკითხი ერობათა შეკავშირების შესახებ.

რა მიზანი და დანიშნულება ექნება ამ შეკავშირებას?

ეს შეკავშირება არ შეიძლება მოხდეს იმ საკითხებში, რომლებიც შედიან ერობის სახელმწიფოებრივ ფუნქციების ფარგალში. ერობები რომ შეკავშირდნენ მართვა-გამგეობის და სხვა სახელმწიფო საკითხების გასაძღოლათ, მივიღებთ სწორეთ იმ საკითხებს, რომლებიც ცენტრალურ მთავრობის კომპეტენციას შეადგენს. ავიღოთ ასეთი მაგალითი: ყოველ ერობას ადგილობრივ ევალება ადმინისტრაციის მოწყობა, ყველა ერობები რომ შეკავშირდენ ამ საკითხში და მოინდომონ მთელი საქართველოს ადმინისტრაციის მოწყობა, მაშინ შინაგან საქმეთა სამინისტროს არსებობას სრულიად დაეკარგება თავისი აზრი.

ან თუნდ ავიღოთ განათლების საქმე: ადგილობრივ ერობას ფართო სარბიელი აქვს დათმობილი ამ საქმეში. მაგრამ ყველა ერობები რომ შეკავშირდენ და მთელი რესპუბლიკის განათლებაზე დაიწყონ ზრუნვა, მაშინ განათლების სამინისტროს რაღა საქმეები დარჩება?

ერობათა ამნაირი შეკავშირება ზიანის მეტს არაფერს მოუტანს საქმეს, რადგან ამით შეიქმნება ორმთავრობობა: ერთი აწ არსებული ცენტრალური, მთავრობა, სამინისტროები; მეორე—შეკავშირებული ერობანი. ეს ორი ცენტრალური მთავრობა ერთი ერთმანეთს მხოლოდ დაუშლიან და საქმეები ამით აიწეწ-დაიწეწება.

მაშასადამე, ერობათა შეკავშირება იმისთანა საქმეებში, რომლებიც სახელმწიფოს ფუნქციებს შეადგენს, შეუძლებელია. დარჩა არა სახელმწიფოებრივი ფუნქციები. ამ ფუნქციების გარშემო შეკავშირებაში ერობებს ფართო სარბიელი უნდა მიეცეთ. შეკავშირების ფორმა უნდა განისაზღვრებოდეს თვით იმ მიზნით, რომელიც მოითხოვს შეკავშირებას: შეიძლება რომელიმე საქმეში 2—3 ან მეტი ერობაა დაინტერესებული, ამ შემთხვევაში კავშირს კრავენ სწორეთ ეს ერობები. შესაძლებელია ისიც, რომ ამა თუ იმ საქმის განხორციელებისათვის ყველა ერობების შეთანხმება იყოს საჭირო, ამის საწინააღმდეგოც არაფერი იქნება, თუ კი ეს კავშირი დაარსდება იმისთანა საქმისათვის, რომელიც ცენტრალურ მთავრობის პირდაპირს კომპეტენციას არ შეადგენს.

ერობათა კავშირის დაარსების საქმეში, ერობათა მოღვაწეებს სახეში უნდა ჰქონდეთ ერთი გარემოება: იმ სახელმწიფოში, რომელიც ჭეშმარიტ დემოკრატიულ საფუძველზეა აგებული, ერობათა კავშირი უკვე არსებობს; ეს კავშირია—ცენტრალური მთავრობა, რომელიც წარმოადგენს ერობის გაგრძელებას, მთელი ხალხის ერობას, ერობის გვირგვინს. ერობათა შეერთება უნდა ხდებოდეს მხოლოდ იმისთანა საქმეებში, რომლებსაც ეს ერობათა გვირგვინი არ ჰფარავს.

---

**შეცდომის გასწორება.**

კვირის „ერთობაში" შემდეგი კორექტურული შეცდომებია, რომელნიც აზრს საგრძნობლად ამახინჯებენ: მეთაურ წერილში ბოლოდან 13 სტრიქონში სწერია: „როგორც მენშევიკური, ისე იმპერიალისტური"—უნდა იყოს, როგორც ბოლშევიკური და სხვა".

წერილში—სამღვთო სჯულის საკითხი პარლამენტში, სწერია 23 სტრიქონში თავიდან:

„აშკარა რეაქციონერები და გლეხკაცები ელობებიან მას წინ"—უნდა იყოს:

„აშკარა რეაქციონერები და კლერიკალები ელობებიან მას წინ".

---

# მთავრობის საყურადღებოთ

„სახალხო საქმე"-ს № 391-ში მოყვანილია წერილი „უცნობისა", რომელშიაც ავტორი აღნიშნავს, დ. ვ. ყანჯარაშვილის უწესო და უკანონო მოქმედებას, ღალის აკრეფის დროს ჩადენილს:

„ეს „ამხანაგი" როცა დარწმუნდა ღალებს ვერ მოვკრებო, დაიბარა სოფ. საგარეჯოდან გვარდიელები და დაიწყო ხალხის რბევა. ყველას ართმევს ცემა-ტყეპით და ზედაც თითო ლიტრას ზედმეტს, გვარდიელების სასარგებლოდ, ვაი იმას, ვინც კრინტის დაძვრას გაბედავს. სულ მათრახით აპრელებენ. დედაკაცებსაც არ ინდობენ. რამდენიმე დედაკაცი ნაცემია. ზოგს რევოლვერით გამოედევნა ვ. ყანჯარაშვილი.

იყო შემთხვევა, რომ გლეხს ექიმის მისაყვანათ ცხენი მიჰყავდა. არ შევიდნენ ავათმყოფის მდგომარეობაში, კაცი გადმოაგდეს და თითონ შებრძანდნენ.

ვეკითხები ჩვენს დემოკ. მთავრობას, იცის თუ არა, რომ ს. თოხლიაურში და მანავში ამისთანა საქმეები ხდება ვ. ყანჯარაშვილის მეთაურობით? სასურველია მთავრობამ გამოძიება დანიშნოს და ამ საქმის მოთავენი სასტიკათ დაისაჯონ" („ს. ს." № 391).

საჭიროა მთავრობამ დაუყოვნებლივ გამოიძიოს სიმართლე თუ სიმტყუვნე აღნიშნულ ცნობებისა.

ჩვენს მტრებს და პოლიტიკურ მოპირდაპირეებს ხშირათ დიდი სურვილი აქვთ ამა თუ იმ მთავრობის აგენტის მოქმედება მათს სოციალდემოკრატობას მიაწერონ, და მთავრობას და სოც.-დემ. პარტიას ერთბაშათ სახელი გაუტეხონ.

ასეთი საქციელი შეიძლება დასაშვები იყოს პარტიულ ჯგუფური თვალსაზრისით, მაგრამ სახელმწიფოებრივი და დემოკრატიის ინტერესებისათვის კი მხოლოდ მავნებელია.

ჩვენ უნდა ერთხელ და სამუდამოდ განვაცხადოთ, რომ ჩვენი პარტია და ის მთავრობა, რომელიც ჩვენი ნდობით სარგებლობს, არასოდეს არ დააფარებენ ხელს არავის ბოროტმოქმედებას და არც მის ჩამდენს მოუსვამენ თავზე ხელს, რა ადგილი და თანამდებობაც უნდა ეჭიროს ცუდკაცობის ჩამდენს.

დემოკრატიული მთავრობის დამახასიათებელი თვისება სწორედ ეს არის. ჩვენ ვერ ვიტყვით, რომ ესა თუ ის მოხელე არ შეცდება, ან ბოროტი არ აღმოჩნდება თავის მოქმედებაში. მაგრამ ჩვენ თამამათ ვამბობთ, ბოროტების დასასჯელათ ჩვენი მთავრობა მზათაა, თუ ის დამტკიცებული იქნება..

---

# მერვე ყრილობა

**ს.-დ. მ. პარტიის წარმომადგენელთა.**

17 ნოემბერი.

**ჯარი და გვარდია.**

მოხსენებას აკეთებენ ვ. ჯუღელი და გრ. გიორგაძე.

**ვ. ჯუღელი.** ამხანაგებო! დღეს მე ყველაზე ძნელ საკითხზე მიხდება ლაპარაკი—ჯარის შესახებ. ჯარს წინათ ჩვენ ვშლიდით და მოვითხოვდით მის გაუქმებას—ეხლა კი დემოკრატია იძულებულია თვით მოაწყოს ეს ჯარი, რადგანაც იგი ისეთ მდგომარეობაშია ჩავარდნილი: მას ყოველმხრივ მტერი ეხვევა. მაგრამ როცა ჯარზე ვლაპარაკობთ, საჭიროა გვარდიაც მოვიხსენიოთ. ჩვენი მტრები გვარდიაზე ბევრს ლაპარაკობენ, აძაგებენ მას. როგორი დამოკიდებულება უნდა იყვეს ჯარსა და გვარდიას შორის? უშლის თუ არა პირველი მეორეს და მეორე პირველს? ამაზე დღეს საბოლოო პასუხი უნდა გავცეთ. ჯერ ვიკითხოთ რა არის სახალხო გვარდია? ის არის—შეიარაღებული რევოლიუციონური დემოკრატია. აშკარაა, თუ დღეს ის დაირღვა, დემოკრატიული რესპუბლიკაც დაირღვევა. მაგრამ ამავე დროს ჩვენ უნდა ვიზრუნოთ მოვაწყოთ მუდმივი ჯარი, რომელიც უნდა ემსახურებოდეს და იცავდეს ამ დემოკრატიულ რესპუბლიკას. თუ ჯარს დემოკრატიული ხასიათი არ მივეცით—ეს დემოკრატიისთვის დამღუპველი იქნება. ამაში მტკიცედ დავრწმუნდი ჩემი უკანასკნელი ტყვეობის დროს. იქ მოხალისეთა ჯარი მონარქისტული და უაღრესად შავრაზმულია არა იმიტომ, თითქოს მისი შემდგენელი გლეხები (მაგ. ყაზახობა) იყოს ასეთი, არამედ იმიტომ რომ მისი ხელმძღვანელნი არიან რეაქციონერები, შტაბებში რომ სხედან, ჩვენშიც თუ ხელმძღვანელნი არ იქნენ დემოკრატები—მასასაც ცუდათ გამოიყენებენ. ამ მხრივ კი ჩვენში ყველაფერი წესზე არაა.

ზოგიერთებს ჰგონია, რომ ეხლა ჩვენში მშვიდობიანი ცხოვრება იწყება. ეს მხოლოდ გარეგნულად სჩანს. ვინც ახლოა პროვინციასთან, ის იტყვის, რომ ანარქიული მიდრეკილება სხვადასხვა წრეებში კიდევ დიდია. საგარეო მდგომარეობაც მეტად რთულია. შავრაზმული ჯარი ალექსეევისა ჩვენ ბჭეებთან სდგას. და თუ ის ვერ ბედავს ჩვენკენ გამოლაშქრებას, ამის მიზეზი სხვათა შორის ისაა, რომ იქ სამკვდრო სასიცოცხლო ბრძოლაა ბოლშევიკებთან გამართული. და თუ დღეს გვარდიამ აიხსნა იარაღი, ეს გარეშე მტრები და აგრეთვე შინ მიმალულნი ორგულნი გამოვლენ სამოქმედოთ. ჩვენ უფრო უნდა ვეცადოთ, რომ ჯარსა და გვარდიას შორის დამოკიდებულება ძმური იყვეს. ეს მათი ერთობა და სიყვარული გამოჩნდა იქ, სადაც მათ ბედმა არგუნა ჭირსა და ლხინში ერთად ყოფნა პოზიციებზე, სხვადასხვა ფრონტებზე, მათ გადაკიდებას მხოლოდ ბოროტნი და ჩვენი დემ. რესპუბლიკის ორგულნი ცდილობენ სხვადასხვა პროვოკაციით. ჯარი და გვარდია ერთი სახელმწიფოს შვილებია—ერთ მიზანს ემსახურებიან და განწყობილება მათ შორის საუკეთესო უნდა იყვეს. და თუ ჯარს დემოკრატიული აფიცრობა ეყოლა—ეს ადვილი მოსახერხებელია. ჩვენ ვიცით ისტორიის მაგალითები, როცა უბრალო პარიკმახერები უდიდესი სარდლები ხდებოდნენ. ჩვენშიაც ბევრია ისეთი ძალები დაბალი წრეებიდან, რომელნიც თუ გამოვიყენეთ, ნაპოლეონები და მიურატები არ იქნებიან, მაგრამ საუკეთესო სპასალარები და მუშაკები გამოვლენ. ამის მაგალითები ჩვენში უკვე იყო. რომ ჩვენ მიზანს მივაღწიოთ, საჭიროა ჯარის ხელმძღვანელთა სრული დემოკრატიზაცია. გვარდია ჯარის ღონიერებაა. სადაც ჯარი თავდება, იქ იწყება გვარდია. გვარდიაში არ მიიღებიან სასაღ დათოები, იქ შედიან მხოლოდ ქალაქისა და სოფლის მუშები. შეიძლება მას ნაკლი ჰქონდეს, მაგრამ მას ერთი უდიდესი ღირსებაც აქვს: ესაა მისი გარდაუვალი სიყვარული ჩვენი დამოუკიდებლობისა, დემოკრატიული წესწყობილებისადმი, სურვილი მისთვის თავის შეწირვისა. და განა საჭიროა მოვთვალოთ ის ღვაწლი, რაც გვარდიამ ჩვენ რესპუბლიკას დასდო? მოიგონეთ და გადახედეთ წარსულ მღელვარე თვეებს ჩვენი დემოკრატ. რესპუბლიკის ცხოვრებისას და თქვენ დაინახავთ თუ სად იყო და რას აკეთებდა ამ კრიტიკულ დროს ჩვენი სახელოვანი სახალხო გვარდია. იგი, გვარდია, იბრძოდა გარეშე ფრონტზე, აწყნარებდა შინაურ ანარქიას და ამბოხებას, იცავდა რევ. წესრიგს. თუ ის გამარჯვებული გამოდიოდა, ამის უმთავრესი მიზეზია არა ის, რომ იგი ფიზიკური ძალით სჭარბობდა, არამედ უმთავრესად ის, რომ მასში იყო და არის დაუშრეტელი მორალური ძალა. ეს მორალური ძალა პირველად გამოჩნდა მაშინ, როცა 225 მუშამ აიღო თბილისის არსენალი, რომელსაც რამოდენიმე ათი ათასი ჯარისკაცი იცავდა. თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა ამ დროს გვარდიის მიერ არსენალის აღებას—ეს აშკარად გამოირკვა შემდეგ. დღეს თუმცა ანარქია ჩაქრა, მაგრამ ნორმალური პირობები ჯერ კიდევ არ დამდგარა. ამ მორალური ძალის მქონე გვარდიის დაშლა, დღეს ჩვენი სიკვდილი იქნებოდა. პირიქით ჩვენ მეტი ენერგიით უნდა გავამაგროთ ჯარი და გვარდია, რადგანაც მათ კიდევ ბევრი საქმე აქვთ გასაკეთებელი. ჩვენმა ყრილობამ უნდა დაადასტუროს, რომ ის ყოველმხრივ ეცდება ხელი შეუწყოს გვარდიის და მუდმივი, რეგულიარული ჯარის შექმნას და საუკეთესოდ მოწყობას და ეს უნდა ხდებოდეს მანამდე, სანამ საბოლოოდ არ განმტკიცდება რესპუბლიკა და მისი დემოკრატიული წყობილება. როცა ამას სავსებით მივაღწევთ, მაშინ დადგება საკითხი იმაზე, თუ როგორ შევქმნათ რესპუბლიკისა და დემოკრატიულ წყობილების მცველი ძალა ისე, რომ ყაზარმული ცხოვრებაც მოისპოს და ჩვენი სოციალ დემოკრატიულ იდეალების განხორციელებაც უზრუნველყოფილი იყოს (ტაში).

**გრ. გიორგაძე:** ის რეალური ძალა, რომელზედაც ემყარება მთავრობა, არის ჩვენი ჯარი და გვარდია. ამას იზიარებს, როგორც მთელი მთავრობა, ისე მეც და აღარ ვიცი სადღაა ის რეალური მხარე, რომელიც ამის წინააღმდეგი იყვეს? გვარდიის მოღვაწეობა ჯერ არ დასრულებულა და მან კიდევ დიდხანს უნდა იმუშაოს ჩვენი დემოკრატიული რესპუბლიკას საკეთილდღეოთ. რომ გადავავლოთ ჯარის მოწყობას თვალი, შემდეგ ეტაპებს შევამჩნევთ: როცა კავკასიის ფრონტი დაიშალა, იყო აზრი, რომ „ფრონტოვიკებს" თავი მოეყარათ ნაციონალ ერთეულებში და ასე დაეცვათ საზღვრები. ამ რიგად დაარსდა ეგრეთ წოდებული ნაციონალური კორპუსები. მაშინ აუარებელი ნაციონალური კორპუსი იყო, ასე გასინჯეთ, აისორების კორპუსიც კი და არც ერთი მათგანი არ გამოდგა სასარგებლო. ბოლოს ჩვენ იძულებული ვიყავით ამ გახრწნილ-განებულ ნაწილებისთვის იარაღი აგვეყარა და დაგვეშალა ისინი. მათ იარაღს ჰყრიდა სახალხო გვარდია. იმ ხანებშივე მოგვადგა გარეშე მტერი და დაისვა საკითხი ამიერ კავკასიის დამოუკიდებლად გამოცხადებისა, რაც მალე ფაქტად იქცა. დაიწყო ამიერ-კავკასიის სახელმწიფოს საზღვრების დაცვა, მაგრამ აქ აღმოჩნდა თუ რა უმწეო იყო ეს სახელმწიფო თავდაცვაში. ყველა თავისკენ მიიწევდა. ამ დროს დიდი ანარქია იყო და შეუძლებელი იყო ჯარის რაიმე ორგანიზაციისთვის ზრუნვა. რაც ძალები გვყავდა, ყველას აქეთ-იქით ვგზავნიდით. მალე დაიშალა ამიერ-კავკასია და შეიქმნა ამიერ კავკასიის რესპუბლიკები. ამ დროს ანარქია ჩვენ ქვეყანას უფრო მოედო და ჩვენი გვარდია და მცირე ჯარი მის ჩაქრობას უნდებოდა. ანარქია განელდა აგვისტოში. აქედანვე დაიწყო ჩვენი რეგ. ჯარის მოწყობა. კანონები გავიყვანეთ და მობილიზაცია სექტემბერში გამოვაცხადეთ. ახალგაზრდებმა ჯარში დენა იწყეს. ნელ

ნელ შეიქმნა ჯარი და დაემსგავსა რეგულიარულ ნაწილებს. ამგვარად, ანარქიის მოსპობამ და საჭირო ადმინისტრატიული აპარატის მოწყობამ შეძლება მოგვცა ჯარის ორგანიზაციის საკითხში დადებითი მუშაობა დაგვეწყო. გასულ თვეებში უსურსათობაც მეტად უშლიდა ხელს ჯარის შექმნას. ეხლა ეს ნაკლიც დაძლეულია. ამიტომ ჯარიც მოეწყო: იგი ასე თუ ისე უზრუნველყოფილია ყველაფრით. აფიცრობა—მისი დიდი ნაწილი მაინც—ერთგულად მუშაობს ჯარში. გამონაკლისი არის, რასაკვირველია. ჩვენს დისციპლინას აფიცრობაც ემორჩილება. ჯარში სწარმოებს აგრეთვე კულტურული მუშაობა. გვარდია უნდა გვყავდეს, მაგრამ მუდმივი ჯარის სახე არ უნდა მიიღოს. სახალხო გვარდია შინაური მტრის წინააღმდეგ იბრძოლებს, მუდმივი ჯარი საზღვრებს დაიცავს. ორივე ძალა დღეს ჩვენთვის მეტად საჭიროა. ეს ორი ძალაც გრძნობს ამას: მათი მიზანია რესპუბლიკის დაცვა გარეშე მტერთაგან, შინ რევოლიუციის მონაპოვართა დაცვა და დემოკრატიული წყობილების განმტკიცება. და ჩვენც ამას ყოველი ღონით ვემსახურებით. (ტაში).

ნ. ჟორდანია. აქ, როცა ლაპარაკი იყო ყრილობის დღის წესრიგზე, სთქვეს, რომ ეს საკითხი უნდა დაისვასო. მე ამის მომხრე არ ვიყავი, რადგანაც ვფიქრობდი, რომ ეს კითხვა ყველასთვის ნათელი უნდა იყვეს. მაგრამ ეს ასე არ აღმოჩნდა. ამიტომ საჭიროა იგი ნათლად გავარკვიოთ. დღეს, რომ ნორმალური პირობები არაა ჩვენს რესპუბლიკაში, ეს ყველასთვის აშკარა უნდა იყვეს. ამაზე ფიქრი ჯერ ადრეა. ჩვენი მდგომარეობა მაშინ იქნება ნორმალური, როცა გარეშე მტერთაგან საფრთხე აღარ გვექნება, როცა საზღვრები გვექნება უზრუნველყოფილი და შინ კი დემოკრატია იქნება სავსებით გამაგრებული. ჩვენ გვყავს გვარდია, რომელსაც ისევე როგორც ჯარს, ეყრდნობოდა და ეყრდნობა მთავრობა. ეს გვარდია დიდი მორალური ძალის მქონეა, რადგანაც იგი შეიარაღებულ მუშებისაგან შესდგება. ამას ჩვენი მტრები დიდ ანგარიშს უწევენ. ჩვენ ორივე ეს ძალა უნდა გავამაგროთ. რაც მეტი გვეყოლება, მით უკეთესი იქნება. ვინც სამხედრო ბეგარას მოიხდის, იმას მივიღებთ გვარდიაში, თუ მას სურს სამხედრო სამსახურში დარჩენა. ამიტომ გვარდიაში უფრო მეტი სპეციალისტებია, გვარდიაში უნდა იყვეს ისეთი ნაწილი, რომელიც ჯარში არ არის. ერთი მეორის დამატება უნდა იყვეს. ჩვენი მდგომარეობა რთულდება და მათი ყოლა აუცილებელია. (ტაში).

კამათი ამ კითხვის შესახებ შესწყდა. მომხსენებლები უკანასკნელ სიტყვებში სავსებით ეთანხმებიან ნ. ჟორდანიას დებულებებს. რეზოლიუციის წარმოდგენა გადაეცა კომისიას.

17 ნოემბერი.

საღამოს სხდომა.

საპარლამენტო ფრაქციის მოღვაწეობის შესახებ მოხსენებას აკეთებს ალ. ლომთათიძე.

ალ. ლომთათიძე. მე დღეს უნდა მოგახსენოთ, თუ რას აკეთებდა ჩვენი ფრაქცია პარლამენტში. მართალია თუ არა ის ბრალდებანი („ნაციონალნია უხმოტრენია"), რომელსაც მის წინააღმდეგ აყენებენ? კლასთა ბრძოლა დაივიწყაო, მართალია ეს? ჩვენი პარლამენტის ფრაქცია გაგრძელებაა ხმების ფრაქციისა. ის მუშაობდა მეტად მძიმე დროს. ის იყო საქმეთა მმართველი, როგორც საშინაო, ისე საგარეო სფეროებში. საგარეო საქმეში ჩვენ ერთი მეტად დიდი ნაბიჯი გადავდგით: უცხო სახელმწიფო მოვიწვიეთ. ეს ღალატია დემოკრატიისაო—ამბობდნენ ჩვენი მტრები. მაგრამ რით ვხელმძღვანელობდით ჩვენ მაშინ? როდესაც არა მარტო კლასს, არამედ მთელ ერს საფრთხე მოელის, ჩვენ გვაქვს უფლება ერის გადასარჩენად მოვიწვიოთ თუნდ სხვა იმპერიალისტური ძალა ერთი იმპერიალიზმის წინააღმდეგ. ფრაქცია ადასტურებდა მთავრობის ყველა ნაბიჯებს შინაურ პოლიტიკაში. ქვეშევრდომობის კანონიც ფრაქციის დახმარებით იქნა მიღებული. რა კი სახელმწიფო არსებობს, შეუძლებელია მისი არსებობა თუ მისი ქვეშევრდომები არ იქნებიან ნამდვილი ქვეშევრდომები. ჩვენ ვიცით, რომ ამ უკვე გამოქვეყნებულ კანონს შემდეგ დამატება მოუნდება და ეს დამატება ალბად მალე გამომუშავდება, მაგრამ ის კანონი აუცილებელი იყო, რომ სახელმწიფო სახელმწიფოს დამსგავსებოდა და თუ მის წინააღმდეგ კიდევ იბრძვიან, ალბათ მათ სულ სხვა მოსაზრებები აქვთ, გარდა დემოკრატიულ-სახელმწიფოებრივი მოსაზრებისა. მეორეა საგანგებო რაზმის დაარსება, კონტრ-რევოლიუციის და სპეკულიაციის წინააღმდეგ შებრძოლისა. ამ არა ნორმალურ დროს ამ საგანგებო რაზმის დაარსება დიდი დახმარება იყო დემოკრატიისთვის და მის წინააღმდეგ მხოლოდ დემოკრატიის მტრები თუ გაილაშქრებდენ. მართლა და მის წინააღმდეგ გაილაშქრა ყველა ჯურის კონტრ-რევოლიუციონერმა, სპეკულიანტმა, გაყალბებულმა „სოციალისტმა". უფრო მეტი განგაში გამოიწვია სიკვდილით დასჯის შემოღებამ. ჩვენ ცარიზმის დროს ვებრძოდით ამ საშინელ ინსტიტუტს. მაგრამ ეხლა ჩვენ იძულებული ვართ იგი დროებით შემოვიღოთ, რადგანაც ჩვენ ტოლსტოველები არა ვართ და როცა დემოკრატიას მისი მტრები ეკვეთებიან და ცდილობენ რევოლიუციის მონაპოვართა გაუქმებას, ჩვენ იძულებული ვართ მათ ასალაგმავად მივმართოთ უკიდურეს ზომებს. ორში ერთი: ან ჩვენ მართლა სახელმწიფოს ვაშენებთ და ჩვენ მოვალე ვართ ყველა ზომები გამოვნახოთ ამ დემოკრატიული სახელმწიფოს ასაშენებლად და დასაცავად, ან არა და დემოკრატიის მტრებს დავემორჩილდეთ და ხელი ავიღოთ დემოკრატიულ სახელმწიფოს შენებაში. ჩვენ მეორეს ვერ ავირჩევთ და, თუ დემოკრატიას საშიშროება მოელის ჩვენ მტრების სიკვდილით დასჯასაც არ უნდა მოვერიდოთ. ფრაქციის შემდეგი მოღვაწეობა გამოიხატება ნაციონალიზაციის და ლიკვიდაციის რეფორმათა მხარის დაჭერაში და მის ცხოვრებაში გატარებაში. აშკარაა, რომ, თუ შენ მართლა დემოკრატი ხარ, უნდა ხალხს დაუახლოვო სახელმწიფო დაწესებულებანი, ხალხის გასაგებ ენაზე უნდა აწარმოვო შიგ საქმენი. მაგრამ, ჩვენ სახეში გვქონდა საქმის ინტერესებიც და ნაციონალიზაცია ხელ აღებით არ გაგვიტარებია. ჩვენ ვცდილობთ ისეთ მცირენა უცხო ელემენტებს, რომლებიც სპეციალისტები არიან ამა თუ იმ დარგის და რესპუბლიკასაც იცავენ. ჭეშმარიტი დემოკრატია ერთა თვითგამორკვევის მომხრე მუდამაა და როცა ერი გამოერკვა, მას თავისი ენა უნდა ჰქონდეს. და ჩვენც გამოვაცხადეთ სახელმწიფო ენად ქართული ენა. პარლამენტში უმცირესობათა წარმომადგენლები შემოვიდნენ. აღმოჩნდა, რომ ბევრს მშობლიური ენა არც კი სცოდნოდა. რომ არ დაგვეხშო ლაპარაკი მოხუც—დეპუტატებისთვის, ჩვენ კანონში შევიტანეთ კორექტივი, რომ რა ენაზეც სურთ, იმ ენაზე ილაპარაკონ. ჩვენი ფრაქციის დახმარებით გატარდა კანონებიც საკულტურო და საგანმანათლებლო ხასიათისა. უნდა გაიხსნას 33 სკოლა, 18 პარალელური სკოლა. ყველა სოფელში ადმინისტრაციას ევალება გახსნას ბიბლიოთეკა-სამკითხველოები. როგორი იყო ჩვენი დამოკიდებულება სხვადასხვა პარტიებთან? ჩვენ ვიყავით ბლოკში სოციალისტურ პარტიებთან და მათთან შეთანხმებით ვმუშაობდით, მაგრამ არც ერთ პრინციპიალურ კითხვაში ჩვენ არ დაგვითმია. რაც შეეხება დაშნაკელებს, ჩვენ გავაშკარავებდით მათ შოვინისტურსა და ავანტიურისტულ პოლიტიკას. როგორი იყო დამოკიდებულება ნაციონალ-დემოკრატებთან? ჩვენმა თავდახსნამ ეს პარტია ორ ფრთად გაჰყო. ასეთი იყო ჩვენი ფრაქციის მოღვაწეობა პარლამენტში. ყველას ხომ თვალი აქ ძნელია. კომისიებშიც მუშაობა სწარმოებდა. ობიექტიური მოპირდაპირეებისათვის აშკარაა, რომ ჩვენ ვიცავთ არა „ნაციონალურ უხმოტრენიაა"-ზე, როგორც აქ ზოგიერთებმა წამოაყენეს, არამედ დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობის დაცვის, erdo მის დემოკრატიის გამაგრების ნიადაგზე და ამას ალბად ყრილობაც დაადასტურებს.

მოხსენების შემდეგ იმართება კამათი. ორატორები საერთოდ იზიარებენ მომხსენებლის დებულებებს. მომხსენებელი უკანასკნელ სიტყვაში განმარტავს შეკითხვებს. კამათი სწყდება და რეზოლიუციის გამომუშავება ენდობა კომისიას.

# გერმანიის დელეგაციის ცნობები

თბილისი, 25 ნოემბერი

**რუმინია გერმანიის ურთიერთობა.**

მაკენზენი იმყოფება ეხლა ჰერმანშტადში (ტრანსილვანია). რუმინიამ წარუდგინა გერმანიას ულტიმატუმი, 24 საათში განთავისუფლეთ ჩვენი ტერიტორიაო. ერთმა გერმანიის ჯარის ნაწილმა უკვე დასცალა რუმინია და გადავიდა ტრანსილვანიაში. როგორც წინედაც მოგახსენეთ, რუმინიაში დაგროვილი იყო დიდძალი ქონება და მიზანი ასეთი ულტიმატუმისაც ალბათ ქონების კონფისკაცია იყო.

**მოკავშირეთა ჯარები უკრაინაში.**

მოკავშირეებმა გადაწყვიტეს დაუყოვნებლივ გაგზავნონ უკრაინაში თავიანთი ჯარები.

**გერმანიის ელჩები.**

გერმანიის ელჩები მოსკოვიდან და პეტროგრადიდან გაემგზავრნენ გერმანიაში. რუსეთის ელჩებიც, რომლებიც გერმანიის მთავრობის მიერ აკავებული იყვნენ მინსკში, დაბრუნდებიან რუსეთში. გერმანიის მთავრობამ დეპეშით აცნობა რუსეთის საბჭოთა მთავრობას, რომ საბჭოთა ელჩების დაბრუნება გერმანიაში არ არის სასურველი.

**გერმანიის ჯარები ბაქოში.**

გაზეთებში მოთავსებული ცნობები, რომ ბაქოში იმყოფებიან გერმანიის ჯარისკაცები, სიმართლეს მოკლებულია. ბაქოში მხოლოდ ერთი ავადმყოფი გერმანელი ჯარისკაცი წევს ლაზარეთში.

**საქართველოს დამოუკიდებლობის შესახებ.**

ტომსონის დეპეშა გერმანიის ჯარის შესახებ, გამოგზავნილი იყო საქართველოს გარეშე საქმეთა სამინისტროს სახელზე, აქედან ადვილად შეიძლება გამოვიყვანოთ, რომ მოკავშირეები საქართველოს სცნობენ, როგორც ნეიტრალურ სახელმწიფოს და მის დამოუკიდებლობას ალბად აღიარებენ. წინად ნეიტრალურმა სახელმწიფოებმა რომ აღიარეს საქართველოს დამოუკიდებლობა, ეს უეჭველია მოკავშირეებთან შეთანხმებით მოხდა.

**განჯაში.**

23 ნოემბრამდე განჯაში ინგლისელები არ ჩასულიყვნენ, სხვა ცნობები განჯიდან არ მოსულა.

**აქ მყოფ გერმანელ ჯარისკაცთა დაბრუნება.**

ფოთიდან 25 ნოემბერს დეპეშით იტყობინებიან, რომ მოკავშირეები დასთანხმდნენ, რომ გემი „აზგარტა" გაემგზავროს ფოთიდან გერმანელ ჯარისკაცებით. სევასტოპოლში გემი წავა 26 ნოემბერს.

**მოკავშირეთა ფლოტი.**

21 ნოემბრამდე ბოსფორში მოკავშირეთა არც ერთ გემს არ გაუვლია. 24 ნოემბერს სევასტოპოლში მოელოდნენ მოკავშირეთა ესკადრას. მივიდა თუ არა ესკადრა, ჯერ ცნობა არ არის.

# დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო).

25 ნოემბერი.

**ბოლშევიკების ცნობები.**

მოსკოვი. 24 ნოემბერი. ც. ა. ქ. მეპლდეთი ბიუროს ბიულეტენი. ინგლისი. ლონდონი, 22 დეკემ. გუშინ დაითხოვეს ინგლისის პარლამენტი, რომელიც 1910 წლიდან არსებობდა. ახალი არჩევნები დანიშნულია 14 დეკემბრისთვის. უკრაინის განთავისუფლება. 23 ნოემბერს დნეპრის ადგილებში მეამბოხენი აარსებენ საბჭოებს. იამპოლი. სოფ. მიხაილოვკაში აირჩიეს რევოლიუციონური კომიტეტი. უნეჩა. 28 ნოემ. ელიზავეტიდან იტყობინებიან, რომ რევოლიუციონურმა რაზმმა დაიჭირა უნეჩა და გომელისკენ მიიწევს. უნეჩა. 23 ნოემ. გერმანელმა საბჭომ განთავისუფლა ყველა პოლიტიკური პატიმარი. უკანასკნელთა ნაწილი, ყოფილ სამხედრო ტყვეებთან ერთად, უკვე ჩამოვიდა საბჭოთა რუსეთში. განთავისუფლებულ პოლიტიკურ პატიმართა მატარებელი წითელი დროშებით იყო მორთული. ყოველ სადგურზე, მინსკიდან დაწყებული, მათ ეგებებოდნენ გერმანელი ჯარისკაცნი. გაიდამაკელნი არ ჩანდენ. ვიტებსკი. პლოცკიდან გერმანელების წასვლის წინ დღეს ბურჟუაზია გაქცევას შეეცადა, მაგრამ ახლად შედგენილმა მილიციამ აიძულა ისინი დარჩენილიყვნენ. ნაუენი. 22 ნოემბერი. „ლოკალ ანცეიგერი"-ს ცნობით ლოძში გერმანელთა გარნიზონს ალყა შემოარტყეს მცხოვრებლებმა. გერმანელმა ჯარის კაცებმა ბრძოლით გაიკაფეს გზა და ფეხით გადავიდნენ პოლონეთიდან გერმანიაში. ამ რაზმის საბჭოს თავმჯდომარე იტყობინება, რომ გენერალ გუბერნატორი ბეზელერმა და აფიცრებმა დასტოვეს ჯარის კაცნი და ღამით გაიქცნენ. როცა პოლონეთის ლეგიონერთა აფიცრების განკარგულებით იარაღი გერმანელ ჯარის კაცებს აჰყარეს, უკანასკნელნი პოლონეთის ლეგიონერებმა გაძარცვეს. ბერლინი. 22 ნოემ. ავსტრიის ნაციონალური საბჭოს სხდომის დროს ქუჩაში მუშათა დემონსტრაციები გაიმართა. როდესაც წაიკითხეს დადგენილება ავსტრიის ნაციონალურ რესპუბლიკათ გამოცხადების და გერმანიასთან შეერთების შესახებ, დემონსტრანტების შეიარაღებული ნაწილი „ძირს ბურჟუაზია, გაუმარჯოს კომუნიზმს"-ის ყვირილით შეეცადა პარლამენტში ძალით შესვლას. გაისმა თოფის ხმა. ეროვნული პარლამენტის ყველა ოთახები დაიჭირეს. ეროვნულ საბჭოს წევრები დააპატიმრეს. სოციალისტების შეიარაღებულმა რაზმმა დაიჭირა რედაქცია „ნეიე-ფრეიე-პრესსე" და გამოუშვა სასწრაფო დეპეშა, სადაც მოითხოვენ სოციალისტურ რესპუბლიკას. ნაუენი. 22 ნოემბერი. გალიციის იმ ადგილებში, სადაც უკრაინის ბურჟუაზიის, ან ბურჟუაზიასთან შეთანხმებულ ძალების ხელშია, ებრაელთა დარბევა მოხდა. მცხოვრებნი გარბიან.

მოსკოვი. 24 ნოემბ. ბურჟუაზიის მიერ დაქირავებული მილიცია და პოლონელების ლეგიონერები ვერ მოქმედებენ. ნაწილი თვით იღებს დარბევაში მონაწილეობას. ზოგიერთ ქალაქში ებრაელებმა შეადგინეს თავდაცვის რაზმები, მაგრამ ლეგიონერებმა მათ იარაღი აჰყარეს. მილიციაში მცხოვრები ებრაელები აღელვებული არიან. გერმანიის მთავრობა, მოკავშირე სახელმწიფოების ნოტაზე, რომ გერმანიის ჯარმა აუცილებლად უნდა დასცალოს პირობის მიხედვით პრიუმი, მერციგი, სარგემინი, საარბრიუკენი და რეინის ოლქის ნაწილი, პროტესტს აცხადებს. ნაუენი. 22 ნოემბ. ვილნოდან და ბელოსტოკიდან ცნობაა, რომ მცხოვრებნი საოკუპაციო ჯარის წინააღმდეგ გამოდის. გერმანელ დარაჯებს ხოცვენ და აფეთქებენ რკინის გზას, რათა ხელი შეუშალონ გერმანიის ეშელონების გადასვლას. ვიტებსკი, 22 ნოემბერი. რკინის გზებზე მიმოსვლა განახლდა. ჩვენ მიერ დაჭერილ ადგილებში მიმოსვლა წესიერად სწარმოებს. პოლტავა. 20 ნოემ. უკრაინის კომუნისტურ პარტიის პრეზიდიუმმა შემდეგი შინაარსის მიმართვა გაგზავნა ბერლინში: „მოგაგონებთ, რომ გერმანელების შემოსვლამდე უკრაინაში, ისე როგორც რუსეთში, არსებობდა საბჭოთა მთავრობა, მუშათა და გლეხთა მთავრობა, რომლისათვისაც ახლა იბრძვიან გერმანიის მუშები და ჯარისკაცები. გერმანიის იმპერიალიზმმა, წესიერების აღდგენის სახით მოსპო საბჭოები და გადასცა ძალაუფლება ჯერ ცენტრალურ რადას, შემდეგ კი გეტმანს, გერმანელთა ხიშტების საშუალებით მემამულეებმა დაიბრუნეს მიწა. გაუქმდა 8 საათის სამუშაო დღე, პროფესიონალური კავშირები და [illegible] ბანკები კაპიტალისტებს დაუბრუნდა, [illegible] და გლეხები გაძარცული, დატანჯული და დახოცილია. ჩვენ ვკითხულობთ, როგორია გერმანიის ახალი მთავრობის პოლიტიკა უკრაინის მიმართ ახლა, როცა მილიტარიზმის პოლიტიკას ბერლინის საბჭო გაუქმებულათ სთვლის. წერილში აღნიშნულია, რომ უკრაინაში მოსული ცნობების თანახმად გერმანიის საბჭოთა სოციალისტურ მთავრობასა და მოკავშირეთა შორის ხელშეკრულებაა, რომლის ძალით სიმშვიდის და წესიერების დასაცავათ, ესე იგი მემამულეთა დასაცავად, გერმანიის ჯარი, ინგლისის და ამერიკის ჯარის მოსვლამდე, უკრაინაში უნდა დარჩეს. უსხოს გერმანიის მთავრობამ უკრაინის მუშებს და გლეხებს, ვინ არის გერმანიის ახალ მთავრობაში, მოკავშირენი, თუ ისეთივე მტერი, როგორც იყო კაიზერის მთავრობა. მოკავშირენი უკრაინაში მოდიან. ჩვენ უნდა ვიცოდეთ, ამხანაგებო, თქვენ უკრაინის გლეხთა და მუშათა ღალატი და ემხრობით ინგლის-ამერიკის მუშათა და გლეხთა განადგურებაში, თუ ჩვენთან ერთად განაგრძობთ იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლას. მოსკოვი. 23 ნოემ. 16 დეკემბრისათვის მოსკოვში მოწვეულ იქნება სრულიად რუსეთის სამიწათმოქმედო განყოფილებათა ყრილობა. მთავარი საკითხები: ზომების მიღება სასოფლო მეურნეობის გასოციალიზებისთვის და მიწის დამუშავების საქმის საზოგადოების ხელში გადაცემა.

**ინგლისის პრესის ცნობები.**

23 ნოემბ. ვაშინგტონიდან იტყობინებიან: დეპუტატთა პალატის საზღვაო კომისიაში საზღვაო საქმეთა სეკრეტარმა დანიელსმა სთქვა, რომ ზღვათა და ხმელეთის იარაღის აყრა, მომავლის საკითხია. ახლა კი აუცილებელია საზღვაო ძალის გაძლიერება იმ პროგრამით, რომელიც სამი წლით შეჩერდა და რომელსაც მიხედვით უნდა გადაკეთებულიყო კიდევ 10 დრედნოუტი, 6 კრეისერი და 140 სამხედრო გემი.

მოკავშირეთა ჯარი შეუჩერებლად განაგრძობს ბელგიის ოკუპაციას და განაგრძობს გერმანიისაკენ სვლას.

ბრიტანიის ფლოტს, ამერიკის საზღვაო ძალთა თანდასწრებით, გერმანიამ გადასცა 70 გემი. ამათში 5 ჯავშნოსანი კრეისერი, 7 მსუბუქი კრეისერი და 9 ჯავშნოსანი გემი.

დღეს გენერალ კასტელნო კოლმარში შევიდა.

ბელგიის უმაღლესი მთავრობა ზეიმით შევიდა ბრიუსელში.

ინგლისის მთავრობამ პარიზში ჩასვლის დღე 28 ნოემბრისთვის არის დანიშნული.

საფრანგეთის გაზეთებმა გამოაქვეყნეს ნოტა, სადაც ნათქვამია, რომ მთავრობა დაინტერესებული არაა გასცეს თუ არა ჰოლანდიამ კაიზერი.

(დასაწყისი დამახინჯებულია.) ჩვენს ხელში გადმოვიდა 59 (?)... დღეს უნდა ჩაგვბარებოდა 21, მაგრამ დაიღუპა ერთი ჩაიძირა. ბრიტანიის საზღვაო კორესპონდენტი იტყობინება, რომ შეოდლისას

# ფელეტონი

## „საქართველოს განთავისუფლების კომიტეტი" და მისი ნამოქმედარი.

(დასასრული *)

II

ჩვენ დავინახეთ, რომ ფორმალურის მხრით „საქართველოს განთავისუფლების კომიტეტს" არავითარი უფლება არ ჰქონდა გადაედგა ისეთი დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯები, როგორიც იყო გერმანიის და ოსმალეთის მთავრობასთან მოლაპარაკების გამართვა იმ დროს, როდესაც გერმანიასა და რუსეთს შორის ომი იყო; გულის დამშვიდება იმით, რომ ეს მოლაპარაკება „პირადის პასუხისმგებლობით" სწარმოებდა, მხოლოდ ერთეული პოლიტიკური შეუგნებლობის და უსუსურობის მაჩვენებელია, რადგან „პირადი პასუხისმგებლობა" ცარიელი, უშინაარსო ფრაზაა იქ, სადაც შესაძლებელია შენს მოქმედებას მოჰყვეს მთელი ერის უბედურება და განადგურება. ვის წინაშე „აგებდნენ პასუხს" „კომიტეტის" წევრები, ოსმალეთის საზღვარზე მდგომს რუსეთის ჯარს რომ შეეტყო მათი გერმანია-ოსმალეთთან მოლაპარაკება, რომ ამ მოლაპარაკებაში მთელი ქართველი ერის მოღალატეობა დაენახა, მობრუნებულიყო და აღეგავა ქართველი ხალხი პირისაგან ქვეყნისა? ან რა სახით აგებდენ ისინი პასუხს? დარწმუნებით ვიტყვით, რომ ეს „პირადი პასუხისმგებლობა" სრულიად არაფერში არ გამოიხატებოდა, რომ „კომიტეტის" წევრები დალუპავდენ სამშობლოს და განაგრძობდენ ქვეყანაში ცხოვრებას ისე, როგორც წინათ ცხოვრობდნენ. მათი „პასუხისმგებლობა", შესაძლებელია, მხოლოდ სინდისის ქენჯნაში გამოხატულიყო. მაგრამ სინდისის ქენჯნას ვერსად აღუდგენია ერთხელ წაღმა გატეხილი ერი.

ფორმალური მხარიდან გადავიდეთ „საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის" გერმანია ოსმალეთთან მოლაპარაკების შინაარსზე.

—

ბ. ნესტორ მაღალაშვილის ნაამბობიდან სრულიად აშკარათ სჩანს, როგორ ათამაშებდნენ და აბრიყვებდნენ როგორც გერმანიის, ისე ოსმალეთის მთავრობის აგენტები „კომიტეტის" წევრებს.

როდესაც „კომიტეტის" რწმუნებულს ბ. ლ. კერესელიძეს პირველად მიუმართავს გერმანიის ელჩისთვის, ამ უკანასკნელს უთქვამს, პასუხს მხოლოდ მაშინ მოგცემთ, როდესაც დელეგატის პიროვნებას გამოვარკვევო „ცოტა ხანს შემდეგ ელჩმა მიიწვია ლ. კერესელიძე თავისთან და გამოუცხადა, რომ მას უკვე ყოველივე ცნობები შეკრებილი აქვს და მთავრობას ნება დაურთავს მისთვის მოლაპარაკების დაწყებისა".

რა ცნობები შეეძლო შეეკრიბა გერმანიის ელჩს ბ. ლ. კერესელიძის პიროვნებაზე? რასაკვირველია, იგი ამ ცნობებიდან ვერ დაინახავდა, რომ „კომიტეტის" რწმუნებული გამოჩენილი მოღვაწეა, რომ მას საქართველოში თანაუგრძნობს ქართველი ხალხის თუნდაც მცირე ნაწილი. პირიქით, ელჩი უნდა დარწმუნებულიყო, რომ ბ. ლ. კერესელიძეს არავითარი გავლენა არა აქვს ქართველ ერში. ამ მხრივ ბ. ლ. კერესელიძე არ წარმოადგენდა გერმანიისათვის სახარბიელო პიროვნებას. სამაგიეროთ მის შესახებ ელჩი შეიტყობდა, რომ იგი ანარქისტია, რომ ხაზინის გატაცების გამო იგი იძულებული გახდა სამშობლოდან გაქცეულიყო, რომ შვეიცარიის მთავრობის მიერ სამართალშიაც კი იყო მიცემული ამ ბრალდების გამო. გერმანიის ელჩს კარგათ ეცოდინებოდა თავის სახელმწიფოს ისტორიიდან, რომ ანარქისტებში ძალიან ადვილი მოსაწყობია ყოველნაირი პროვოკაცია და ავანტიურა. შესაძლოა, ეს იყო მიზეზი, რომ გერმანიის ელჩს ბევრხანს არ მოუნდა ცნობების შეკრება „კომიტეტის" დელეგატის პიროვნების შესახებ და „ცოტა ხანს შემდეგ" დათანხმდა მასთან მოლაპარაკების გამართვაზე.

—

თვით მოლაპარაკების შინაარსზე ბ. ნესტორ მაღალაშვილი აი რას გვიამბობს:

„ჩვენ უნდა მიგვემართა გერმანიის მთავრობისათვის წინადადებით, რომ მას ხელი შეეწყო საქართველოს განთავისუფლებისათვის და მხარი დაეჭირა მისთვის, როგორც ომის განმავლობაში, ისე საერთაშორისო კონფერენციაზე. სამაგიეროთ ჩვენ უნდა მიგვეღო გერმანიის ორიენტაცია".

ამ წინადადებაში ბევრი რამ გაურკვეველია: რაში უნდა გამოხატულიყო გერმანიის მხრით საქართველოს დახმარება „ომის განმავლობაში"? ან რაში უნდა გამოხატულიყო „ჩვენი" ორიენტაცია" გერმანიისაკენ? ან რას ნიშნავს აქ „ჩვენი"? ვისი? ქართველი ხალხისა, თუ „კომიტეტისა"? მიუხედავათ ამისა, ამ წინადადებიდან მხოლოდ ის არის აშკარა, რომ გერმანიას, „კომიტეტის" წინადადებით, „უნდა ხელი შეეწყო საქართველოს განთავისუფლებისათვის". და ამაზე, როგორც სჩანს ჩვენი „ისტორიკოსის" ნაამბობიდან, გერმანიის ელჩი სულ ადვილად დათანხმებულა.

რატომაც არ დათანხმდებოდა? რას კარგავდა ამ დათანხმებით გერმანია? ელჩს არ დაუნახავს, რომ მის წინაშე დგას ადვილად ჩასათრევი და ავანტიურაში ადვილად გასახვევი ხალხი. რომ მათი საშუალებით შესაძლებელია მოეწყოს ღალატი რუსეთისადმი, თუ მთელი ქართველი ხალხის არა, მის თუნდ მცირე ნაწილის მაინც. „საქართველოს განთავისუფლება" ომის დროს და საქართველოს მხრით რუსეთისადმი ომში ღალატი—ამ ორ ცნებაში გერმანიის ერთი და იგივე შინაარსი უნდა დაენახა. დაარქვით ამ ღალატს „განთავისუფლება", გინდ „ორიენტაცია გერმანიისაკენ",—ამით არაფერი არ გამოიცვლება. და მაშ რატომაც ადვილად არ უნდა დათანხმებულიყო გერმანიის ელჩი?

—

„გადაწყდა, რომ ჩვენ ოსმალეთთანაც, როგორც ჩვენ მეზობელ სახელმწიფოსთან, დაგვეწყო ამ საგანზე მოლაპარაკება", განაგრძობს ჩვენი „ისტორიკოსი". ვინ გადაწყვიტა?" ჩვენს ისტორიკოსს მეტათ მოკლედ და ბუნდოვნათ უყვარს ლაპარაკი, მაგრამ მისი ნაამბობის კონტექსტიდან სჩანს, რომ ოსმალეთთან მოლაპარაკების იდეა გერმანიის ელჩს მიუცია „კომიტეტისთვის". რატომაც არ მისცემდა, როდესაც ასეთი ადვილი სათამაშებელი ხალხი დაუნახია თავის წინ!

მთავარი მოსაზრება, რომლითაც ხელმძღვანელობდა „კომიტეტი", როდესაც ოსმალეთის მთავრობასთან გადასწყვიტა მოლაპარაკება, ბ-ნ ნ. მაღალაშვილის გადმოცემით, აი როგორი ყოფილა: „შვეიცარიის გაზეთი „გაზეტ დე ლოზან"-ი ამტკიცებდა რამდენიმე კორესპონდენციით სტამბოლიდან, რომ ოსმალეთს უკვე მაშინ ჰყავს დიდი ნაწილი თავის ჯარისა გერმანიის სამხედრო მისიის ხელმძღვანელობით გაწვრთნილი, რომლითაც აპირობს კავკასიისკენ გალაშქრებას; გაზეთი სწერდა, რომ ოსმალეთს თვალი უჭირავს თბილისზე, რომ ოსმალეთი ბალკანეთის ზარალს კავკასიით აინაზღაურებსო. ჩვენ მიზნათ დავისახეთ ოსმალეთთან ისე შევთანხმებულიყავით, რომ, თუ ვინიცობაა ოსმალეთი კავკასიას წაართმევდა რუსეთს, საქართველო თავისუფალ სახელმწიფოდ გამოცხადებულიყო და ერთი მონობიდან მეორე მონობაში არ ჩავარდნილიყო".

იმ ხელიერ განწყობილებას, რომელმაც „კომიტეტი" აიძულა მოლაპარაკება გაემართა ოსმალეთის მთავრობასთან, ბ-ნი ნ. მაღალაშვილი ასე აგვიწერს. „ჩვენ ვმოქმედებდით... იმ შიშით, რომ ოსმალო შემოესეოდა საქართველოს და გაანადგურებდა მას".

ყველაფერი ეს მოხდა იმ დროს, როდესაც ოსმალეთი ჯერ არ ჩარეულიყო ომში, როდესაც რუსეთი მხოლოდ გერმანია ავსტრო-უნგრეთს ებრძოდა, როდესაც ომის მომავალი ჯერ ბურუსში იყო გახვეული, არავინ იცოდა, რომელი მხარე გაიმარჯვებდა; თუ კი გამოცნობაზე და წინასწარმეტყველებაზე მიდგება საქმე, უფრო იმის თქმა შეიძლებოდა, რომ მარტო გერმანია და ავსტრო-უნგრეთი ვერ გაუმკლავდებოდა 8 სახელმწიფოს. ვთქვათ, ყველა არ იყო ამ აზრისა, მაგრამ დარწმუნებით არც იმის თქმა შეიძლებოდა, რომ უთუოდ გერმანიის კოალიცია გაიმარჯვებს. და სხვა სახელი, გარდა ავანტიურისტისა, არ ეწოდება იმ პოლიტიკოსს, რომელიც თავის ერის ბედს, მის „ყოფნა-არ ყოფნას" დაუკავშირებს ამ ნაირ წინასწარმეტყველებას. სწორედ ასე უმოქმედნიათ „კომიტეტის" წევრებს: მათ რატომღაც გადაწყვეტილი ჰქონიათ, რომ ოსმალეთი უთუოდ დასძლევს რუსეთს, უთუოდ დაიჭერს საქართველოს და თბილისს, უთუოდ მონობის უღელს დაადგამს ქართველებს. მათ ვერაფერი მოუსაზრიათ ერთი უბრალო რამ: ჯერ კიდევ საეჭვო იყო, შესძლებს თუ არა ოსმალოს ჯარი რუსის ჯარის დაძლევას და საქართველოში შესვლას, და ის კი ფაქტი იყო, რომ რუსის ჯარს უკვე ეჭირა კავკასია; შესძლებდა თუ არა ოსმალთა ჯარი საქართველოს განადგურებას, ეს ჯერ კიდევ საკითხი იყო, მაგრამ რუსის ჯარს რომ შეეტყო „კომიტეტის" მოლაპარაკება ოსმალეთის მთავრობასთან, და ეს ქართველ ხალხისთვის დაეღო ბრალათ, საქართველოს გაანადგურებდა და ქვას ქვაზე აღარ დასტოვებდა,—ეს კი ეჭვს გარეშე უნდა ყოფილიყო და რამდენათ ცუდი წინასწარმეტყველები გამოდგნენ „კომიტეტის" წევრები, ეს დაგვანახვა ომის მთელმა მსვლელობამ: გარდა ერთი მოკლე მომენტისა, ოსმალთა ჯარის კავკასიაში ფეხი არ შემოუდგამს, პირიქით, ომი სწარმოებდა 200 ვერსის იქით რუსეთ-ოსმალეთის საზღვრიდან.

მოლაპარაკების დასაწყისშივე ოსმალეთის მთავრობა მიხვედრილა, რა ბრძენი პოლიტიკოსები დგანან მის წინაშე, და წამოუგია „აღმოსავლეთური" ეშმაკობით მოფიქრებული მათი წამოგება ანკესზე:

„საქართველოს თავისუფლების გამოცხადებაზე გერმანია თავიდანვე დათანხმდა", გვიამბობს ჩვენი „ისტორიკოსი": „თურქები კი ამბობდნენ, რომ ისინი თავის თავს მოვალეთ არ ჩახ-

*) იხ. „ერთობა" № 354.

## მუშათა შორის

„ელორიანების" მოსამსახურეებში.

## საქართველო

## პროვინცია

## ს.-დემ. პარტიაში

## წერილი რედ. მიმართ

## დავკარგე

## საქართველოს შესწავლა

სახელმწიფო თეატრი

ოპერა.

## სევილიელი დალაქი

ოპერა 3 მოქ. მუსიკა როსინისა.

## საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების წლიური კრება.

ექიმი ა. ნ. ჭანტილევი

ექიმი ა. ჟ. მაჭავარიანი

ექიმი ნიკოლოზ ივანეს ძე მახვილაძე

ექიმი გ. ა. სუხარაძე

ექიმი დ. ი. ყიფიანი

ექიმი ივანე კიკნაძე

ბ. ბ. მეგრელიანი

„რესპუბლიკის ჯარი"